ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 176

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ. №01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №23.551.645 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული 12306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების (ს/კ. №01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირისთვის (ს/ნ. 204874911) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე